მომსახურების მიღების წესები და პირობები

მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების წესები
კონფიდენციალობის პოლიტიკა (ე.წ. Privacy Policy)

1. **ტერმინთა განმარტება:**
   1.1. **ორგანიზაცია -** პირი რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არის რეგისტრირებული (როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი) და გააჩნია უფლებამოსილება გამოიყენოს წინამდებარე წესების და პირობების შესაბამისად მომსახურების მიწოდების კანონიერი უფლება.
   1.2. **მომხმარებელი** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული **ფიზიკური** ან **იურიდიული** პირი.
   1.3. **მესამე პირი** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად **ფიზიკური** ან **იურიდიული** პირი, გარდა ორგანიზაციისა და მომხმარებლისა.
   1.4. **პერსონალური მონაცემი** (შემდგომ – **მონაცემი**) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება **მომხმარებელს** და ხელმისაწვდომი გახდა რეგისტრაციის გავლის შედეგად, ან ზოგადად ხელმისაწვდომია მის სოციალურ პროფილ(ებ)ზე, ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით**.**
   1.5. **თანხმობა – მომხმარებლის** მიერ თავისუფალი ნების გამოხატვით შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე, რეგისტრაციით, შესაბამისი მომსახურებით სარგებლობის დაწყებით ან/და სხვა საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი ქმედება, რომელიც გამოხატავს **მომხმარებლის** მხრიდან წინამდებარე წესებზე და პირობებზე დათანხმებას.
   1.6. **კანონმდებლობა** - საქართველოს სახელმწიფო ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობა.
   1.7. **მარკეტინგი / შეტყობინება** – ფოსტის, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების, დროებითი სამუშაოს ან სხვა სახის შეთავაზება რომელიც კანონით არაა აკრძალული.
   1.8. **რეგისტრაცია - ორგანიზაციის** მიერ შედგენილ მომსახურების მიწოდების და **მონაცემთა** მიღების და გამოყენების შესახებ წინამდებარე დოკუმენტზე **თანხმობა.**

2. **მომსახურების მიწოდების ზოგადი პირობები:**
   2.1. **მომხმარებელი,** რომელიც წინამდებარე წესებისა და პირობების შესაბამისად გამოხატავს მის თავისუფალ ნებას - **„თანხმობას“** ისარგებლოს **ორგანიზაციის** მიერ შემოთავაზებული მომსახურებით, უფლებამოსილი ხდება მიიღოს მომსახურება **ორგანიზაციის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, **ორგანიზაციაში** მოქმედი რეგლამენტის და ნორმების მიხედვით.
   2.2. **მომხმარებელი** თავის მხრივ აცხადებს თანხმობას, **ორგანიზაციის** მიერ მოპოვებული მონაცემ(ებ)ი გამოყენებულ იქნეს **ორგანიზაციის** შეხედულებით, არ განხორციელდეს მათი ისეთი სახით გადაცემა, გასხვისება ან გამჟღავნება რის შედეგადაც დადგება **მომხმარებლის** პიროვნული ღირსების შემლახავი ფაქტი.
   2.3. **ორგანიზაცია** უფლებამოსილია გამოიყენოს **მომხმარებლისაგან** მოპოვებული **მონაცემ(ებ)ი მარკეტინგული** კუთხით, ამასთან მოახდინოს **მომხმარებელთა** საერთო ბაზის შექმნა, მათი ამ ბაზაში გაერთიანება, ჩაწერა და ასეთი სახით გადაცემა **მესამე პირებისათვის,** რაზეც წინამდებარე მომსახურების მიღებით **მომხმარებელი** აცხადებს **თანხმობას.**
   2.4. წინამდებარე წესები და პირობები შესაძლოა შეიცვალოს, დაიხვეწოს, რედაქტირებულ იქნეს, **ორგანიზაციის** შეხედულებით და **მომხმარებელი** წინასწარ გამოხატავს **თანხმობას** ავტომატურად ჩაერთოს წინამდებარე განახლებაში და **თანახმაა** ავტომატურად მასზე გავრცელდეს წინამდებარე წესები და პირობები მის მიერ მომსახურების მომდევნო მიღება/სარგებლობისთანავე.
   2.5. **მომხმარებლისათვის** ცნობილია რომ წინამდებარე **მომსახურებით** სარგებლობის ჯერადობა არაა შეზღუდული და ის უფლებამოსილია ისარგებლოს მომსახურებით ავტომატურად, ამასთან მისთვის

ცნობილია რომ **მომსახურებით** ყოველი სარგებლობისას შესაძლოა მოხდეს **მონაცემთა** ხელახალი მიღება **ორგანიზაციის** მიერ, **მომხმარებლის** მიერ რედაქტირებული ინფორმაციის შესაბამისად.

2.6. **მომსახურების** მიწოდებისას მოპოვებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ **ორგანიზაციის** კონტრაქტორი და მასთან პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი **მესამე პირებისათვის,** რაზეც **მომხმარებელი** წინასწარ აცხადებს თანხმობას, ამასთან მიიღოს მონაწილეობა ასეთი მესამე პირების მიერ დაგეგმილ **მარკეტინგულ** ღონისძიებებში.

3. **ორგანიზაციისათვის მინიჭებული უფლება, მონაცემთა შეგროვება, გამოყენება და უსაფრთხოება:**

3.1. **მომხმარებელი** სრულ უფლებას ანიჭებს **ორგანიზაციას,** რათა ამ უკანასკნელმა მისი შეხედულებით, მიიღოს, დაამუშაოს და გადასცეს მის მიერ ავტორიზებულ **მესამე პირებს** მონაცემი რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა.

3.2. **ორგანიზაცია** კრებს და აგროვებს **მონაცემებს,** რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია, არ საჭიროებს ნებართვას რომელიმე კონკრეტულ პირისგან. **ორგანიზაცია** უფლებამოსილია შეაგროვოს, გამოიყენოს, გადასცეს და გაავრცელოს ასეთი **მონაცემი** ნებისმიერი მიზნით. ქვემოთ ჩამოთვლილია არასასურველი ინფორმაციის ზოგიერთი მაგალითი, რომელსაც ორგანიზაცია აგროვებს და როგორ შეუძლია გამოიყენოს იგი:

3.3. **ორგანიზაციამ** შეიძლება შეკრიბოს **მონაცემები**, როგორიცაა ენა, რეგიონი, მდებარეობა და დრო ზონა, სადაც **ორგანიზაცია მონაცემს** გამოიყენებს ისე, რომ შესაძლებელია უკეთ იყოს გაგებული მომხმარებლის ქცევა და გაუმჯობესდეს **მომსახურება**, **მარკეტინგი** (შეთავაზებები, პროდუქცია, მომსახურება, და რეკლამა), როგორც **ორგანიზაციის** ასევე მასთან დაკავშირებული **მესამე პირების** მიერ.

3.4. ეს **მონაცემი** არის აგრეგირებული და გამოყენებული, რათა დაეხმაროს **ორგანიზაციას** და მასთან დაკავშირებულ **მესამე პირებს მომხმარებელზე** უფრო სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებაში და გაიგოს მათი მომსახურების, პროდუქტებისა და სერვისის ნაწილების უმრავლესობა. აგრეგირებული მონაცემები ითვლება არა-კონფიდენციალურად, ამ კონფიდენციალურობის და პირადი მონაცემების პოლიტიკის მიზნებისთვის.

3.5. **ორგანიზაციამ** შეიძლება შეაგროვოს და შეინახოს დეტალები, თუ როგორ გამოიყენება **მომსახურება**, მათ შორის საძიებო მოთხოვნები. ეს **მონაცემი** შეიძლება გამოყენებულ იქნას ზოგადად ბაზარზე სერვისების და **მომსახურების** მოწოდებული შედეგების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად. გარდა შეზღუდული შემთხვევებისა ჩვენი **მომსახურების** ხარისხის უზრუნველსაყოფად, ასეთი ინფორმაცია არ იქნება დაკავშირებული თქვენი IP მისამართის და ასეთი მონაცემების საშუალებით.

3.6. **მომხმარებლის** მკაფიო **თანხმობით, ორგანიზაციას** შეუძლია შეკრიბოს **მონაცემები** იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება მომხმარებელთა მიერ სხვა დასხვა ტექნოლოგიური საშუალებები, ბაზარზე კონკურენციისა და სერვისების გაუმჯობესების მიზნით.

3.7. **ორგანიზაცია** ეკიდება მომხმარებლის მონაცემს უსაფრთხოდ ძალიან სერიოზულად. **ორგანიზაციის მომსახურებით** სარგებლობისას, ჩვენ ვიცავთ **მომხმარებლის** მონაცემებს სხვადასხვა ტექნოლოგიები სა და უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით. როდესაც **მომხმარებლის** მონაცემები ინახება **ორგანიზაციის** მიერ, ჩვენ ვიყენებთ კომპიუტერულ სისტემებს შეზღუდული ხელმისაწვდომობით, სადაც განთავსდება ფიზიკური უსაფრთხოების ზომები. **მომხმარებლის** მონაცემები ინახება ისეთი ფორმით, რომ, ის არაა ხელმისაწვდომი როდესაც ჩვენ **მესამე პირების** მონაცემთა შენახვას ვახორციელებთ.

3.8. **ორგანიზაციის მომსახურების** მიღებისას, სოციალური ქსელის, ან სოციალური ქსელის სერვისით, **ორგანიზაციის მომსახურების** გამოყენებისას, თქვენს **მონაცემებს** გაუზიარებთ სხვა **მომხმარებლებს** და შესაძლებელია ეს მონაცემი ხელმისაწვდომი გახდეს, შეგროვდეს ან გამოყენებულ იქნეს ისინი. **მომხმარებელი** პასუხისმგებელია თავის მონაცემებზე, რომელიც აირჩია ან რომელსაც მიუთითებს ასეთ შემთხვევებში. მაგალითად, თუ თქვენი სახელი და ელექტრონული ფოსტის მისამართია განთავსებული საჯაროდ, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია. გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული შემთხვევები.

3.9. თუ **მომხმარებელი** ან ვინმე სხვას იყენებთ **მესამე პირის** ტექნოლოგიას და თქვენს მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში გამოყენებული ნებისმიერი **მონაცემი**, შესაძლოა გახდეს საჯარო **მესამე პირებისათვის** გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული შემთხვევები.

3.10. **ორგანიზაცია** შეინარჩუნებთ თქვენს ინფორმაციას რომელიც ხელმისაწვდომი გახდა წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნებისათვის აუცილებელი პერიოდის განმავლობაში, არ არის საჭირო ან ნებადართულია **მომხმარებლისგან** ხანგრძლივი შენახვის ვადა.

4. პასუხისმგებლობა:

4.1. **მომხმარებელი** ვალდებულია **მომსახურებით** ისარგებლოს მხოლოდ კანონიერ ფარგლებში, არ განახორციელოს ისეთი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) რის შედეგადაც **ორგანიზაცის** ან მესამე პირ(ებ)ს მიადგება რაიმე სახის ზიანი, ან დადგება მათი ღირსების შელახვის ფაქტი.

4.2. **ორგანიზაცია** ირებს ვალდებულებას არ გათქვას **მომხმარებლისგან** მიღებული ის მონაცემი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელიც არის დაკავშირებული მის ფინანსურ ინსტიტუტებთან, კერძოდ: **მომხმარებლის** კოდი (ასეთის მიღების შემთხვევაში), მისი ფინანსური შემოსავლების, **საბანკო** ოპერაციების შესახებ.

4.3. **კონფიდენციალობის** დარღვევად არ ჩაითვლება წინამდებარე დოკუმენტის მე-3 მუხლის 3.2-პუნქტის გარდა **მომხმარებლისგან** მიღებული **მონაცემი,** მათ შორის და არა მარტო:

4.3.1. **ფიზიკური პირის** შემთხვევაში - სახელი, გვარი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, განათლება, სამუშაო ადგილი, თანამდებობა, მონაცემი, რომელიც მითითებული და გამოყენებულია მის სოციალურ ქსელში, ან სხვა სახით კომუნიკაციის სხვა საშუალებით არის ხელმისაწვდომი (საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემები და სხვა).

4.3.2. **იურიდიული პირის** შემთხვევაში - დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, საქმიანობის სფერო, მისამართი ტელეფონი, **მონაცემი** რომელიც შესაძლოა მოპოვებული იქნეს და ხელმისაწვდომია კომუნიკაციის სხვა საშუალებით (მათ შორის საჯარო რეესტრის ამონაწერი, და მასში შემავალი მონაცემი და სხვა).

4.4. **მომხმარებელი** ვალდებულია დაიცვას მისთვის **მომსახურებით** სარგებლობის შედეგად მიღებული ნებისმიერი **მონაცემი** და ინფორმაცია, მათ შორის წინამდებარე დოკუმენტის ტექსტი და **ორგანიზაციის** შესახებ მისთვის ხელმისაწვდომი **მონაცემები**.

4.5. **მომხმარებელი** ვალდებულია, თავად აუნაზღაუროს **ორგანიზაციასა** და **მესამე პირებს** მისი ქმედებით მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანი, მათ შორის ფინანსური ზარალი.

4.6. **მომსახურების** არამიზნობრივი და კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის გამოყენებისათვის **მომხმარებელს** დაუდგება სახელმწიფოს შესაბამის უწყებაში და შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოს წინაშე პასუხისმგებლობის საკითხი.

4.7. **მომხმარებელი** სრულად არის პასუხისმგებელი მის მიერ **მესამე პირებისა** და **ორგანიზაციისათვის** მიყენებულ ნებისმიერი სახის ზარალსა თუ ზიანზე.

5. რეგისტრაციის, მომსახურების მიღებისა და გამოყენების შესახებ:

ყურადღება!!! დაწვრილებით გაეცანით წესებს, წინამდებარე მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ შესაბამისად კანონით უფლებამოსილ პირებს რომელსაც გააჩნიათ უფლება გამოიყენონ დარეგისტრირდნენ და ისარგებლონ სოციალური ქსელით.

რეგისტრაცია შესაძლებელია როგორც სოციალური ქსელის ისე სხვა **მონაცემთა** გამოთხოვის, კითხვარის შევსებით და **ორგანიზაციის** მიერ შემუშავებული სხვა ფორმის საშუალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მომხმარებელი გაეცნო წინამდებარე წესებს და პირობებს და აცხადებს რომ მისი ღირსების, ადამიანური უფლებ(ებ)ის და თავისუფლე(ბე)ბის შემლახველი **ორგანიზაციის** მიერ **მონაცემთა** ამ სახით სარგებლობაში არაფერია:
ვეთანხმები ყოველივე ზემოთ მოყვანილს, ჩემთვის არაა ბუნდოვანი და გაუგებარი სიტყვ(ები)ა, სიტყვათა დაჯგუფება, ერთობლიობა, წინადადება, პუნქტი, ან რაიმე სახის ჩანაწერი. არ შეიცავს და არაა ჩემთვის წინამდებარე **მომსახურების** ფარგლებში აღებული **მონაცემ(ებ)ი განსაკუთრებული კატეგორიის**. და ასეთი

მონაცემების გამჟღავნებაზე სრული პასუხისმგებლობა მეკისრება მე **მომხმარებელს,** როგორც საჯაროდ მათ **გამომცხადებელს**, სრულიად ვეთანხმები მომსახურებით სარგებლობის წესებს და ვაცხადებ თანხმობას გამოყენებულ იქნას ჩემი და ჩემს შესახებ მოპოვებული ნებისმიერი **მონაცემი ორგანიზაციის** შეხედულებით, თანახმა ვარ მივიღო მონაწილეობა **ორგანიზაციის** და **მესამე პირ(ებ)ის** მიერ დაგეგმილ მარკეტინგულ პოლიტიკაში. ყოველივე ზემოთ ხსენებულის დასტურად ვაცხადებ **წერილობით თანხმობას** ჩემს მიერ **რეგისტრაციითა** და **მომსახურების** მიღებით.

ვაცხადებ და ვიძლევი გარანტიას რომ ვარ შესაბამისად უფლებამოსილი, მაქ ყველა სახის ნებართვა, ლიცენზია, თანხმობა მოპოვებული და ვათვითცნობიერებ ჩემს მიერ განხორციელებულ ქმედებას და ჩემს თავზე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას წინამდებარე **მომსახურების** მიღებით. არ შემყავს **ორგანიზაცია** მოტყუებაში, მე როგორც სრულწლოვანი, არასრულწლოვანის კანონიერი მეურვე, წარმომადგენელი, მზრუნველი, ყოველი ქმედება განხორციელებულია ჩემს მიერ, საკუთარი ნების გამოსახატავად, გავეცანი და **ვეთანხმები**!!!

ყველა უფლება დაცულია დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: info@olacademy.ge